№ 59
პარასკევი, 17 მარტი 1895

1877—1895

# ივერია

№ 59
პარასკევი, 17 მარტი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაო საცნობელად, რომ შაბათს, 18 მარტს 1895 წლისას, **ტფილისის ქალაქის მოურავის**

**პავლე ალექსანდრეს ძის იზმაილოვის**

გვამის დაკრძალვისა გამო ქალაქის გამგეობა და ქალაქის მმართველობის ქვემდებარე დაწესებულებანი დაკეტილი იქნება.

(2—6.—1)

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** და **კომისსია, რომელსაც მინდობილი აქვს განსვენებულის ქალაქის მოურავის პავლე ალექსანდრეს ძის იზმაილოვის ხსენების პატივის ცემა**, ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ

**პავლე ალექ ანდრეს ძის იზმაილოვის**

გვამის დაკრძალვა დანიშნულია ამა მარტის 18 ს, შაბათს, მიცვალებულის ნაშთი წამოსვენებულ იქმნება ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურიდგან დილის 10 საათზედ ვანქის ტაძარში, ხოლო დაკრძალულ იქმნება ამა ტაძრის გალავანში.

(2—6.—1)

---

**მართა ქაიხოსროს ასული მესხიევისა** და **იოსებ ივანეს ძე მესხიევი** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ შაბათს, 18 მარტს, დილის ათ საათზედ ანჩის-ხატის ტაძარში, სადაც გადახდილ-იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **ივანე იოსების ძის მესხიევისა.**

(1—1104—1)

---

**მეუღლე რევაზ თარხნიშვილის კნეინა** ქეთევან სოლომონის ასულის გვამის დასაფლავება იქნება შაბათს, 18 მარტს, სიონის ტაძრის გალავანში. პატივისცემის მსურველთ ვთხოვ მობრძანდნენ დილით 9 საათზედ, მისს საკუთარს სახლში, სიონის ქუჩა, № 6, საიდგანაც განსვენებული სიონის ტაძარში იქნება მისვენებული ანდერძის ასაგებად.

სულიერი მოძღვარი—დ. გრ. პეტრიაშვილი.

(1—1105—1)

---

ნათესების სეტყვისაგან დაზღვევის საურთიერთო საზოგადოების მმართველობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ 1895 წელს 1 თებერვალს გაიხსნა II რიგის დაზღვევა ვენახებისა, თამბაქოსი, სვიისა და სხვა კულტურულ მცენარეულობისა ყველგან.

მმართველობის წევრნი.

დირექტორები: ნ. ცირკუნოვი. გ. იასინსკი. თავ. ფ. ურუსოვი.

გამგე ვ. ტარგონსკი.

საზოგადოების ინსპექტორის პავლე მიხეილის ძის ოკულიჩის მოსკოვში ყოფნის გამო ყოველ-გვარ ცნობებისა და პირობების შეტყობა მსურველთ ვლ დიმირ დავითის ძე ქალანთაროვისაგან შეუძლიანთ, ადრესი ძველია, ,,სევერნი ნომრები‘‘, № 25, დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის.

გამგე ტარგონსკი.

(3—1012—3)

---

**ვ ა ი ს რ უ ლ ო ბ**

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 სათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

15—14)

---

ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ, რომ თავმჯდომარე „გაჭირვებულ მოსწავლეთა დამხმარებელ კეთილშობილ ქალთა განყოფილებისა“ კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა დიდს მადლობას უცხადებს ექიმს მ. გედევანიშვილს, რომელმაც განზრახულ ქართველ დედათა სკოლის სასარგებლოდ 14 მა. და 20 კ. შემოსწირა ქართულ წიგნების გამომცემელ საზოგადოების გამოცემათა საკომისსიო გასყიდვისაგან.

---

ქართული თეატრი

პარასკევს, 17 მარტს,

„ქართველ არტისტების ამხანაგობისაგან

წარმოდგენილი იქნება

I

**შეშლილი**

დრამა 3 მოქმ.

II

ალიაქოთი კეთილ-შობილს ოჯახში

კომედია 3 მოქმ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ადმინისტრატორი ვ. გუნია. რეჟისორი ვლ. ალექსეევ-მესხიშვილი.

---

## ტფილისი, 17 მარტი.

—

წუხელის, 15 მარტს, ტფილისის ქართველ ინტელიგენციის გუნდმა ერთი დიდი საქმე დაამთავრა. ამ ინტელიგენციამ ქართველს საზოგადოებას ერთი საზოგადო საქმე კიდევ აღმოუჩინა, ისეთი საზოგადო საქმე, რომელიც ჩვენს ქვეყანას საგრძნობელს სიკეთეს უქადის. ეს საქმე ტფილისის სამეურნეო საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების დაარსება გახლავს.

ეს ახალი საქმე სიკეთეს გვიქადის ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი ნამდვილი ქართული დაწესებულება არის და მეორეც კიდევ იმიტომ, რომ მას კარგი და სასარგებლო განზრახვა აქვს სარჩულად დადებული.

ჩვენში არა ერთია და ორი ზემოხსენებულ საკრედიტო საზოგადოების მსგავსი დაწესებულება, მაგრამ მათი სარგებლობა ჩვენს ერს არ შეუტყვია. ამისი ერთად-ერთი მიზეზი ის იყო და არის, რომ იმ დაწესებულებათ სრულიად არა აქვთ სახეში არც ქართველობა და არც ქართველების საქმე. სამაგიეროდ მათ დიდი სარგებლობა მოუტანეს იმ ხალხს, ვისთვისაც არიან დაარსებულნი. ყოველთვის ასე ყოფილა და იქნება კიდეც: დაწესებულებას კაცი ასულდგმულებს; და იმის მიხედვით თუ ეს კაცი, ეს დაწესებულების სულის ჩამდგმელი—რა მიმართულებისაა, რა უყვარს და რა სძულს—ამის დაგვარად დაწესებულებაც ერთგვარს სახეს ღებულობს და ამა თუ იმ გზას adგია.

რაღა თქმა უნდა, რომ ის საქმე, რომელსაც თავისის ერისათვის გულ-მტკივნეული ქართველი ჰმართავს, უეჭველად კეთილს ნაყოფს მოუტანს ქვეყანას.

აი, რას ამბობს მაგ. პირველი მუხლი ამ ახალის საზოგადოების წესდებისა:

ტფილისის სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოება არსდება ქ. ტფილისში იმ აზრით, რომ ამა წესდების ძალით თავისს წევრთ წოდებისა და სქესისა განურჩევლად შეძლება მისცეს სასარგებლოდ შეინახონ თავიანთი დანაზოგი ფული და სესხად აიღონ ვაჭრობისა და მრეწველობისათვის საჭირო თანხა.

ამ მუხლში სავსებით და ცხადად არის გამოსახული ის აზრი, რისთვისაც დააარსეს ზემოხსენებული საზოგადოება. ეს საზოგადოება თავისს წევრთ წოდებისა და სქესის განურჩევლად შეძლებას მისცემს დანაზოგ ფულს სარგებელი მოატანინოს. რასაკვირველია, ჩვენში მოინახებიან ისეთნი, რომელთაც ცოტა რამ დანაზოგი მოეპოვება, ბევრია თუ ცოტა ჩვენში ამისთანა—ყოველს შემთხვევაში ისინი საზრუნველნი არიან. დღემდე მათთვის არავინა ჰზრუნავდა; ამიერიდგან-კი მათ ღონისძიება ეძლევათ ადვილად შეინახონ სარგებლით თავისი დანაზოგი.

ისეთნიც მოიპოვებიან ჩვენში, და მათი რიცხვი თან-და თან მატულობს, რომელნიც ვაჭრობასა და მრეწველობას მისდევენ. ამნაირ ხალხს ხშირად სჭირდება ხოლმე ისეთი თანხა, რომელიც საქმის დაწყებისა და წარმატებისათვის არის საჭირო.

დღემდე ქართველს ხელ-მოკლე ვაჭარს და მრეწველს არ ჰქონდა საშუალება ადვილად და იაფად ეშოვნა ეს საჭირო თანხა, ამიერიდგან-კი თანხის მოპოვება მას ძლიერ გაუადვილდება და მასთან გა-

---

# ფელეტონი

—

**ს ა მ შ ო ბ ლ ო.**

(საფრანგეთის ცხოვრებიდგან).

I

მთელი საფრანგეთი საომრად ემზადებოდა.

ხუთი წელიწადი ჯერ არც-კი შესრულებულიყო ომის შემდეგ და საფრანგეთის ჯარი ხელახლად დაიბარეს ოსმალოსთან საომრად.

ამ დროს საფრანგეთის ერთს პატარა ქალაქში სცხოვრებდა ახალგაზდა ჯარის უფროსი, რომელიც 25 წლის არც-კი იყო. ამ ყმაწვილს სახელად ერქვა ჟორჟი. ჟორჟი ჰკვიანი და გვარის მოყვარული იყო. ორჯელ დასწრებოდა ომს და ორჯელვე გამარჯვებული გამოსულიყო. ჟორჟი, რაც მისს ხანს შეჰფეროდა, ძალიან დაჯილდოვებული იყო.

მეორეომის გათავების შემდეგ, როცა თავისს ოჯახში დაბრუნდა, მოინდომა მოსვენებით ცხოვრება და არ გაიარა ოთხმა თვემ, რომ ერთის გამოჩენილის და სახელოვანის ოჯახის ქალზედ დაინიშნა. ჟორჟი დღეზედ ელოდებოდა დაქორწინებას და ბედნიერს ცხოვრებას. იმას მარტო ერთხელ ენახა თავისის დანიშნულის სახე, ისიც ნიშნობის ღამეს, რადგან ძველის ჩვეულებით, დანიშნულების ერთად ლაპარაკი და დროს გატარება აღკრძალული იყო როგორც ვაჟისა ისე ქალის მშობელთაგან.

ჟორჟი, ამ ბედნიერების ფიქრში იყო, რომ ბრძანება მოუვიდა თავისს მთავრობისაგან.

ამ ქაღალდში მთავარ-სარდალი ჯარისა სწერდა: „მამულის ერთგულო და ჩვენო საყვარელო ჟორჟი, რა წამს მიიღო ჩვენი წერილი იმ წამსვე დაიბარე და შეჰკრიბე შენი ხელქვეითი ჯარი და ათ დღეზედ გაჩნდი ჩვენთან... თათრები ომს გვიპირებენ, ჰსურთ წაგვართვან ჩვენი მამული და თითონ დაიპყრან; გვმართებს ჩვენის მამულისათვის თავი გავსწიროთ და დავიხსნათ სამშობლო მტრებისაგან. კარგად იცოდე, რომ თუ არ გამოცხადდები, სასტიკად დაისჯები... თათრები ჩვენს საზღვარს მოახლოვებულან; ისწრაფე და წამოდი, შეუერთდი ჩვენს ჯარს, რომ მამაცურად შევებრძოლოთ და აღვუკრძალოთ მტერს ჩვენს მიწაზედ ფეხის შემოდგმა...

საფრანგეთის სამხედრო ჯარის სარდალი“

ჟორჟმა წაიკითხა ეს წერილი და როგორც გაქვავებული ისე უძრავად იდგა. არა სჯეროდა ამ წერილის სიმართლე, მაგრამ როცა ნამდვილად გაიგო წიგნის მომტანისაგან, დაიწყო ყმაწვილივით ტირილი. რას მოიფიქრებდა, ამ სანეტარო ჟამს, როდესაც იგი მხოლოდ თავისის დანიშნულის ფიქრით სტკბებოდა, ხელახლად საომრად გამგზავრება დასჭირდებოდა, მაგრამ აქ ეჭვს ადგილი აღარ ჰქონდა, სამშობლო იწვევდა თავისს შვილს უწმიდესის მოვალეობის ასასრულებლად.

„რა ვუყო,—ჰფიქრობდა ჟორჟი, მე ჩემის თავისათვის არ ვნაღვლობ და არც მეშინის მტერისა, მაგრამ რა ვუთხრა მართას? (ისმის დანიშნულს ასე ერქვა). როგორ გამოვუცხადო იმას ჩემი წასვლა? რომ გაიგოს, ვეღარ იცოცხლებს, შიშით მოკვდება და მე უნდა გავხდე მისის სიკვდილის მიზეზი!?. ახ, მართა! ჩემო საყვარელო, თუმცა შენი სიცოცხლე ძვირად მიღირს, მაგრამ ისევ შენ უნდა შეგწირო და სამშობლოს უნდა მოვეშველო... თუ მოვკვდები,

მრავლდება ჩვენში ისეთი ხალხი, რომელიც ვაჭრობასა და მრეწველობას გაიხდის ხელობად. ეს ხომ საზოგადოდ საჭიროა ყველასათვის და მეტადრე ჩვენისთანა ვაჭრობაში ჩამორჩენილ ერისათვის.

ყველაზედ საყურადღებოდ ამ წესდებაში-კი ის მიგვაჩნია, რომ ამ საზოგადოების წევრად წოდებისა და სქესის განურჩევლად მიღებულ იქმნებიან ყველანი და წევრად გახდომაც ძლიერ ადვილია, რადგან საწევრო ფული 5 მანეთიდგან იწყება. ამრიგად ღარიბ გლეხკაცს და მდიდარს ეძლევა საშუალება წევრად გახდეს—ოღონდ-კი კეთილ-გონიერის, მშრომელის და საქმის კაცის სახელი ჰქონდეს მას დამსახურებული.

ამ ახალს საზოგადოებას გარს შემოერტყმიან მშრომელი და საქმეში მუყაითი ქართველები. ეს დაწესებულება ერთად შეაგროვებს მთელს საქართველოში აქამდის ცალკ-ცალკე დაფანტულს საქმის მოყვარე ქართველებს და ამ რიგად ორგანიზაციას მისცემს ამ ჩვენის ერის მშრომელს ნაწილს.

ამითაც დიდად სასიხარულოა სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების დაარსება.

მმართველების უპირველესი წადილი ის უნდა იყოს, რომ ჩვენს პროვინციებში, იქ სადაც ქართველობის ძარღვი უფრო ძლიერად სცემს, ფესვი გაადგმევინონ ამ ახალს დაწესებულებას. ამისთვის მათთვის საჭირო იქნება ერთგვარის ორგანიზაციის შემოღება. აგენტების თუ სხვა წარმომადგენლების ამორჩევა დაბა-სოფლებში და სხვა.

რაღა თქმა უნდა, რომ ყოველს ამ გვარს ღონისძიებას ჩვენი საზოგადოებაც თანაგრძნობით მიეგებება და ამ რიგად ყველანი შევვერთდებით საერთო, სასიკეთო საქმისათვის.

ვიმედოვნებთ, რომ ახალი ქართული საქმე კარგად წავა და თავისს აზრს სავსებით მიაღწევს.

—ლი—გ.

# ახალი ამბავი

*** მისი უმაღლესობა პრინცი ა. პ. ოლდენბურგისა პეტერბურგიდგან ქუთაისს ჩამოვიდა, სადაც მთელს თვეს აპირებს დარჩენას.

*** გუშინ, დილის 11 საათზედ, ბათუმიდგან მცხეთას მოასვენეს იზმაილოვის გვამი, სადაც დაუხვდნენ რამდენიმე ქალაქის გამგეობის წევრნი. დღეს, პარასკევს, საღამოზედ, ქალაქის გამგეობა მცხეთაში ავა, რომ ხვალ, შაბათს, დილის 11 საათზედ, განსვენებულის გვამი ტფილისს ჩამოასვენონ რკინის გზით.

*** 14 ამ თვისას ჩვენს ცნობილს წიგნების გამომცემელს ზ. ჭიჭინაძეს ეტლი დაეჯახა, ცხენებს ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა და დაშავდა. ჭიჭინაძე მაშინვე მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს. დიდხანს სისხლი ვერ შესწყვიტეს პირიდგან. ცხენებს წიხლი მოურტყავთ სახეში. დაშავებული აქვს აგრეთვე წელი, მაგრამ საშიშარი არა აქვს-რა.

*** გურია: ჩვენში ყვავილი გაჩნდა. ჯერ-ჯერობით მხოლოდ დაბა ნაგომარში, ამაღლებასა და ჩოხატაურშია. კარგი იქნება, რომ ვისგანაც ჯერ არს, ყვავილის ამცრელს დაიბარებდეს და ყვავილს აცრევინებდეს ხალხისათვის.

*** ხევი, (დუშეთ. მაზრა): აქ გუშინ დილით, მარტის 10-ს, დაიწყო თოვა და დღეს ნაშუადღევის 5 საათამდე თოვდა. თან თოვდა და თანაც სუსხიანი სამხრეთის ქარი უბერავდა. თოვლი დიდი მოვიდა, ასე რომ 5/4 არშინზედ დასდო თოვლი.

ის ხევსური სუმელჯა წიკლაური, რომელსაც სნოველმა კობა შიოლაშვილმა მოსტაცა თებერვლის 3-ს ქალი, ამ დღეებში თავისის ახალ სასიძო ხოხონი ბიჩნაგაურით (არაბული) ადგილობრივს ბოქაულთან იყო საქმის წარმოების გასაგებად და, როგორც თითონ ილაპარაკეს წიკლაურმა და ბიჩნაგაურმა, ბოქაულს ფურცელაძეს ხსენებულის ქალის მოტაცების საქმე ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლისათვის გადაუცია.

*** სოფ. ვაშნოვაშენი, (ერევნის გუბ.): 3-ს ამ თვისას აქ თავი მოიწამლა ერთმა მანდილოსანმა, რომელიც აქ მაზრის ბებიათ იყო გამოგზავნილი. იგი ქ. ტფილისის მცხოვრები იყო და იქაური ქალთა გიმნაზია დაესრულებინა; შემდეგ გადასულიყო საბებიო ინსტიტუტში. მართალია, წერილი დასტოვა, სადაც იგი თავის-თავის მკვლელობის ბრალსა ჰდებდა ვითომ-და მის შესახებ გავრცელებულს საზოგადოებაში ჭორებს, რომელიც, როგორათაც ახალგაზდა ქალმა გულ-გრილად ვერ აიტანა, მაგრამ რამდენადაც ჩვენ ვიცით, იმის შესახებ არავითარი ჭორები არა ყოფილა გავრცელებული. მიზეზი უფრო სხვა იყო.

ამ იხალგაზდა ქალმა, ერთი ინჩიც არ იცოდა თათრულად და მეორეც აქაური საზოგადოებაა დამნაშავე, რომ ყურადღება არ მიაპყრო ყმაწვილ-ქალის შევიწროებულს მდგომარეობას და ერიდებოდა, როგორათაც ბებიას, ვითომ-და უღირსსა და მათთვის შეუფერებელს ადამიანს.

*** იქიდგანვე: მთელმა ზამთარმა ისე გაიარა, რომ თითქმის არც თოვლი გვინახავს და არც ზამთრის სუსხი გვიგვრძნია. ეხლა-კი ხან თოვლი მოდის და ხან წვიმები; რიგიანათაც ცივა.

*** ს. მუხრანი, 12 მარტი: დღეს ქეთევან დედოფლის ეკკლესიის მღვდელმა მარინაშვილმა გარდაიხადა პანაშვიდი თავად ივანე კონსტანტინეს ძის ბაგრატიონ მუხრან-ბატონის სულის მოსახსენებლად, რომელსაც დაესწრნენ სკოლის მასწავლებელნი და მოსწავლენი და აგრეთვე მუხრანის გლეხობა.

მღვდელმა მარინაშვილმა წარმოსთქვა მოკლე და გრძნობიერი სიტყვა განსვენებულის შესახებ.

აწ განსვენებულს თავადს ივანე მუხრან-ბატონს კარგი ღვაწლი მიუძღოდა მუხრანის სკოლის წინაშე. თავადმა შესწირა მას მიწა, რომელიც შიგ შუა სოფელშია, აქვეა აგებული. სკოლა აგრეთვე ხუთის წლის განმავლობაში თავადი კონსტანტინე მუხრან-ბატონი მუდამ ყიდულობდა სკოლისათვის საჭირო სასწავლო ნივთებსა და საზოგადოდ ყოველმხრივს დახმარებას უწევდა ზემოხსენებულს სკოლას.

### შეცდომის გასწორება.

გუშინდელ „ივერიის“ ახალს ამბავში შეცდომით არის: „მმართველობის წევრებად“. უნდა იყოს: „საბჭოს წევრებად“. იქვე: ყაზბეგის მაგიერად დაბეჭდილია: გაზბეგ.

### კორესპონდენცია.

**ქუთაისი.** წარსულის წლის აპრილში დაარსდა ქუთაისში შენობების ცეცხლისაგან საურთიერთო დამზღვევი საზოგადოება. ამ საზოგადოების დაარსებაზედ კითხვა პირველად აღძრა ხმოსანმა გიორგი წერეთელმა ქალაქის საბჭოში, რომელმაც თანაგრძნობით მიიღო ეს წინადადება. ქალაქის მოურავმა ლოლუამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და მალე სისრულეშიაც მოიყვანა. თავდაპირველად 115 კაცმა განაცხადა სურვილი თავიანთის მამულების დაზღვევისა, 856,000 მანეთამდე და შემოიტანეს 893 მ. და 75 კ. მეოთხედი სარგებელი.

როდესაც არჩეულ იქნა გამგეობა ამ საზოგადოებისა, მაშინ საზოგადო კრებამ მიანდო გამგეობას შეედგინა ნორმალური აღრიცხვა პრემიებისა (გარდასახადისა) და ქუთაისის განაწილება კატეგორიებათ, როგორც ტფილისის საზოგადოებაშია მიღებული.

როდესაც ყოველივე ეს კრებისაგან და ქალაქის საბჭოსაგან მოწონებულ იქნა, მაშინ საზოგადოებამ 5 აპრილიდგან დაიწყო მამულების მიღება დასაზღვევად და 1 იანვრამდე 1895 წლისა სულ დაზღვეულ იქმნა 155 სახლი 671,850 მან. და გაცემულ იქნა 158 პოლისი. ქვითკირის სახლები დახურული თუნუქითა და კრამიტით დაზღვეულია—576,430 მ. ყავრით დახურული—7850 მ., ნარევი შენობა—29,280 მ., ყავრით დახურული—22,850 მ., ხის შენობა 13,838 მ., ყავრით—21,602 მ.

ამიდგან სჩანს, რომ უმეტესი ნაწილი ქვის შენობებია დაზღვეული და ამიტომ საზოგადოებას უფრო ნაკლები ზარალი უნდა მოელოდეს ცეცხლისაგან.

საზოგადოებას ჰქონდა შემოსავალი 3181 მან. და 71 კ. ამ შემოსავალში წარსულის წლისა 282 მანეთი და 93 კ. და ამ წლისა 2898 მანეთი და 78 კაპ. სახელმწიფო გარდასახადი შემოვიდა 506 მ. ð 19 კ.

შარშანდელის წლის შემოსავალი იმიტომ იყო ასე მცირე, რომ სათავად-აზნაურო ბანკში დაგირავებული მამულები კერძო საზოგადოებებში იყო დაზღვეული და ვადა მხოლოდ 1 იანვრისთვის გაუთავდათ.

რადგანაც გარდასახადი ჩვენს საზოგადოებაში სხვა აქციონერების საზოგადოებასთან შედარებით უფრო ნაკლებია, ამისათვის იმათ, რომელთაც ჩვენს საზოგადოებაში დააზღვევეს თავიანთი მამულები, 2 ათას მანეთზედ მეტი შეეძინათ.

პირველმა საზოგადო კრებამ ჩვენს განკარგულებაში აუცილებელ ხარჯისათვის დაგვინიშნა 1000 მან.

ამ ფულიდგან დაიხარჯა: 1) ტფილისში წასასვლელად—100 მან. 2) კანცელარიის სახარჯოდ, ბუღალტერის წიგნების შესაძენად და ოთახის გასანათებლად—19 მ. 81 კ. 3) სხვადა-სხვა ბლანკებისა და პოლისების დასაბეჭდად—215 მან. 4) ფოსტისა,

---

მოკვდი შენც, რომ ზეციერი გვირგვინის ღირსი გავხდეთ და თუ გადავრჩით ომსა, მაშინ უფრო ბედნიერად ვიცხოვრებთ... სამშობლოს სიყვარული უფრო ძვირად მიღირს, ვიდრე შენი!.. სთქვა და ცოცხლად წამოდგა ფეხზედ, ჩაიცვა ტანთ-საცმელი, წერილის მომტანი კაცი გაისტუმრა და სწრაფის სიარულით, ფარულად, წავიდა თვისს საყვარელ მართას სადგომისაკენ. სახლს რომ მიუახლოვდა, მართა სარკმელთან იდგა, რომელიც ღრმა ფიქრებს სრულიად გაეტაცნა.

II

მთვარიანი ღამე იყო. მართა სულაც ვერ მოიფიქრებდა, თუ იმ დროს თავისი საყვარელი და სანატრელი ჟორჟი იქ, იმის სახლის ახლო, იყო. ის შესცქეროდა ზეცას და თითქოს ვარსკვლავებს ითვლიდა, ხან-კი ძირს დაიხედავდა, გამვლელ-გამომვლელს შეჰხედავდა და ხან ხელ-ახლად მაღლა დაიწყებდა მზერას.

ხანდისხან იმისს მშვენიერს სახეს მხიარული ღიმილი ეტყობოდა; როცა ჰხედავდა ნაჭერ-ნაჭერს ღრუბლებს, რომელიც ერთი მეორეს ასწრებდა ცაზედ.

სწორედ ამ დროს ჟორჟმა დაინახა სარკმელთან მდგომი მართა. ყმაწვილი კაცი ავიდა ბაღის ღობეზედ, გადახტა ბაღში და ერთს ხეს მიეფარა, რომ არავის დაენახა; ცოტას ხანს შემდეგ დაბალის ხმით დაიძახა:

— მართა!

გაოცებულმა მართამ იმ წამსვე ძირს დაიხედა, მაგრამ ვერავინ შენიშნა.

— მართა!—კიდევ მოესმა მართას ხმა. ქალმა მიიხედ-მოიხედა, მაგრამ მაინც ვერავის ჰხედავდა და გაშტერებული უძრავად იდგა თავისსავე ალაგას...

— მართა! აქა ვარ,—მოესმა ხმა მესამედ; მართამ უეცრად აივნისაკენ მიიხედა და დაინახა ერთი ახალგაზდა ვაჟკაცი, ხეს ამოჰფარებოდა და კარგად არა სჩანდა.

— ის არის, იფიქრა მართამ და სიხარულით აღტაცებული გამოვარდა სახლიდგან და ძირს დაეშო, მაგრამ კიბის ბოლოს დედა დაჰხვდა და გააჩერა:

— მაგრე საჩქაროდ სად მიეშურები? ჰკითხა დედამ.

— არსად, მინდა ბაღში გავისეირნო, უპასუხა გაწითლებულმა მართამ, მაგრამ დედამ ის სიწითლე ვერ შეამჩნია.

— ამ დროს? ხელ-ახლად ჰკითხა დედამ.

— ჩქარა დავბრუნდები, დღეს როგორღაც თავი მტკივა.

— წადი შვილო,—უთხრა დედამ და ავიდა კიბეზედ, მართა-კი საჩქაროდ გაიქცა თავისს საყვარელისა და სანატრელის ჟორჟისაკენ.

— ჟორჟ!—დაიძახა მართამ და შეყვარებულნი მოეხვივნენ ერთმანეთს; რა იცოდი, უთხრა ქალმა, თუ ჩემი გული შენს მოსვლას ელოდებოდა?

— ვიცოდი, რომ მელოდებოდი და იმისთვისაც მოვედი შენ სანახავად, ჩემო მართა,—უპასუხა გიორგიმ და თავი ჩაჰკიდა ძირს, რომ თვალთაგან ჩამოცვივნული ცრემლები მართას არ დაენახა.

— ჟორჟ! ჩემო საყვარელო და გულით სანატრელო, რათა ხარ ასე დაღონებული? იქნება ჰფიქრობ, რომ დედა ჩემმა გაიგოს შენი მოსვლა და იწყინოს? ნუ გეშინია, დავსხდეთ ამ ახლო სკამზედ და ვიმუსაიფოთ.

— სხვა, როგორ მშვიდობით ხარ, ჩემო საყვარელო, როდის იქნება ჩვენი ჯვარის წერა? უთუოდ ახლო ხანში განა?

ჟორჟმა ამ სიტყვებზედ ველარ მოითმინა, ძირს დახრილი თავი მაღლა აიწია და მართას თვალებს შეჰხედა, თითქოს ეუბნებოდა; დიაღ, მალე ზეციურის გვირგვინის ღირსნი გავხდებით, მაგრამ ვერა უთხრა-კი რა!

— ჟორჟ, მითხარი, რადა ხარ მაგრე დაღონებული და მწუხარედ?.. ვგრძნობ, რაღაც სათქმელი გაქვს, მაგრამ ვერ ჰბედავ, მითხარი, თუ შემიძლიან შენის ნაღვლის განქარვება, თავსაც-კი განაცვალებ,—უთხრა მართამ ალერსიანად და მარჯვენა ხელი დაუჭირა.

— სათქმელი? დიაღ, მაქვს, ჩემო საყვარელო მართავ, ვიცი შენთვის სასიამოვნო არ იქმნება და ამისათვისაც ვსწუხვარ...

— სთქვი, ჯერ არ გითქვამს და იქნება მწუხარების მაგიერად სასიამოვნოც იქმნეს?..

— არა მგონია, რომ შენთვის სასიხარულო იქნეს ჩემო მართავ! უთხრა ჟორჟმა და ყველაფერი უამბო: როგორ ემზადებოდა ქორწინებისათვის, რა წერილი მიიღო და რა მოელოდა.

— მე არ წავიდოდი, მაგრამ როცა სამშობლო, განსაცდელშია, არ შემიძლიან აქ მოსვენებით ყოფნა... შენის „სიყვარულისათვის“... ეს უკანასკნელი სიტყვები ისე წარმოსთქვა, ჟორჟიმ, რომ მართამ ვერ გაიგონა.

— ჟორჟ, მერე შენისთანა ომში მხნე და გამოცდილი ვაჟკაცი ამ დროს განა ამაზედ ჰფიქრობ და სწუხარ?!..

სამშობლოს გაჭირვების დღეს ყველა ვალდებულია ემსახუროს მას, სანამ სული უდგათ და ვინც არ აასრულებს თავისს ვალსა, იმისი სახელი გასაკიცხად და საგმობელად რჩება სამუდამოდ... მე უნდა შევსწუხდე შენის წასვლით, მე? მე უნდა დაგიშალო შენის ვალდებულების ასრულება იმისთვის, რომ ჩემი საქმრო ხარ? არასოდეს! ჩემთვის უფრო სასიხარულოა სიკვდილი, ვიდრე ბრძოლის ველიდგან გაქცეულისა და სამშობლოს მოღალატე კაცის ცოლობა... წადი, ვიდრე ცოცხალი ხარ, ებრძოლე მტერსა, გადაარჩინე სამშობლო განსაცდელისაგან, დაიხსენ შენნი ძმანი და დანი მტრისაგან... მაშინ, მხოლოდ მაშინ, ხარ ღირსი ჩემის ქმრობისა.

— მართა!—საჩქაროდ სიტყვა მოუჭრა ჟორჟმა და სიხარულისაგან ცრემლები გადმოჰყარა, წამოხტა ფეხზედ, მივარდა მართას და დაუწყო კოცნა:—მე მხდალი არა ვყოფილვარ და არც შემშინებია მტრისა, მხოლოდ თუ ვსწუხვარ, შენ იყავ ამისი მიზეზი: აწ მადლობა ღმერთს, რომ ღირსეული სარძლო ყოფილხარ სამშობლოსი. ამის შემდეგ გულში დარდი და ნაღველი აღარ მექმ-

ტელეგრაფისა, გაზეთის გამოწერისა და განცხადებათა დაბეჭდვაში 22 მან. 50 კ. 5) სტოროჟს და მწერალს ქაღალდების გადასაწერად—29 მ. 6) ტეხნიკებს მიეცათ გეგმების დახატვისათვის და მამულის შეფასებისა და აღწერისათვის—399 მ. 50 კაპ. და სულ 788 მ. 81 კ.

გამგეობა ფრთხილად ეპყრობოდა დასაზღვევ მამულების მიღებას და ამის გამოისობით 5 მთხოვნელს უარი განუცხადა.

რადგანაც სასურველია, რომ უფრო მეტი ნდობა მოიპოვოს ჩვენმა საზოგადოებამ, ამისათვის გამგეობა გთხოვთ, თანახმად ჩვენის წესდებისა აღნიშნოთ, თუ რამდენში უნდა გადაიზღვევოს ჩვენი მამულები კერძო საზოგადოებაში.

ამას გარდა გამგეობას სთხოვენ, რომ ვადა განაგრძოთ იმ პირთა შესახებ, რომელთაც უკვე შემოტანილი აქვთ ხვედრი 1/4 % და ჯერ კიდევ არ დაუზღვევიათ თავიანთი მამული სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო. ამნაირ ვადად დავადგინეთ 31 დეკემბერი 1895 წლისა და ვინც ამ ვადაზედ არ ისურვებს დააზღვიოს თავისი მამული ჩვენს საზოგადოებაში, მაშინ ეს 1/4 % თანახმად წესდებისა ჩაირიცხება სათავდარიგო თანხაში და ეს პირები აღარ ჩაითვლებიან ჩვენის საზოგადოების წევრებად.

ვთხოვთ აგრეთვე ჩვეულებრივის კრებისთვის დანიშნულის ვადის შეცვლას. თებერვლის თვეში იყო დანიშნული ვადა და ეხლა საჭიროება მოითხოვს, რომ მარტისათვის დაინიშნებოდეს ჩვეულებრივი კრება.

ზემოხსენებული 155 მამულიდგან მხოლოდ 26-ა თავისუფალი, დანარჩენი-კი დაგირავებულია ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში, რომლის მმართველობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა ნება მისცა თავისს მსესხებლებს, რომ ჩვენს საზოგადოებაში დაეზღვიათ თავიანთი შენობები, და არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ამ ნაირის განკარგულებით დიდი დახმარება აღმოუჩინეს ჩვენს საზოგადოებას.

გამგეობამ ტფილისის ბანკისამ თანაგრძნობა გამოუცხადა ჩვენს საზოგადოებას და დაგვპირდა, რომ პირველ შეძლებისა დაგვარად მივიღებთ თქვენს პოლისებსო და ამის გამო იმედი გვაქს, რომ ამ დანაპირებს მალე შეგვისრულებს.

12 მარტს კრებამ ყველა წინადადება ,,საზოგადოების'' მმართველობისა შეიწყნარა. წილი ჰხვდა თანამდებობიდან გადადგომისა საზოგადოების თავმჯდომარეს აკოფაშვილს, მაგრამ კრებამ ერთხმად უკენჭოთ ხელახლად აირჩია.

დაქირავებულის მამულების გარდაზღვევის შესახებ მმართველობა აპირებს კრების მინდობილობით აღძრას მიწერ-მოწერა საზღვარ-გარეთ კერძო საზოგადოებებთან და ამ გვარად მოიპოვოს ნდობა ყოველ დაწესებულებათაგან.

მმართველობის წევრის კანდიდატი.

95 წ.
12 მარტი

## რუსეთის ცხოვრება.

—

გაზეთ „ნოვოსტის“ სიტყვით მთავრობას გარდაუწყვეტია შეერთება რკინის გზით მდინარე ვოლგისა და შავის ზღვისა. შეერთებულ იქნებიან ერთის მხრით ქალაქი ცარიცინი, მეორესით—ქალაქი ტიხორეცკი 500 ვერსის მანძილზედ. ამ გზას დიდი მნიშვნელობა ექნება მთელის რუსეთის ვაჭრობისათვის.

—

გაზეთ ,,რუსკი ინვალიდში'' დასტამბულია ახალი წესი ეგზამენებისა, რომელიც შემოღებული იქნება წელს გაზაფხულიდგან სამხედრო ექიმთა აკადემიაში. ეგზამენების წარმოებისათვის დანიშნული იქნება კომისია, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა და ხუთის წევრისაგან. ეგზამენები ორჯელ იქნება წელიწადში: შემოდგომაზედ და გაზაფხულზედ. ეგზამენის დაჭერა შეუძლიანთ: აკადემიისა და უნივერსიტეტების სამკურნალო ფაკულტეტების კურს-დამთავრებულთ და აგრეთვე იმათ, ვისაც საზღვარ-გარეთ მიუღია „მედიცინის დოქტორის“ დიპლომი. ეგზამენების დამჭერთ შეაქვთ 20 მან. მათ მხოლოდ ორი საკითხი ბილეთი უნდა ამოიღონ ყუთიდგან. ეგზამენების პროგრამა უწინდელი დარჩა.

—

პეტერბურგში ხმა დადის, რომ პეტერბურის წერა-კითხვის კომიტეტის ბედ-იღბალი უკვე გარდაუწყვეტია მთავრობას: კომიტეტს ამიერიდგან საერო განათლების სამინისტრო განაგებს.

## უცხოეთი

—

**იტალია.** 7 მარტს რომში უნდა ჩაეყარათ საძირკველი გარიბალდის ძეგლისა. პირველი ქვა უნდა ჩაედო მეფე ჰუმბერტოს; შემდეგ კრისპი წარმოსთქვამდა სიტყვას. ძეგლი აგებულ იქნება გორაკზედ, რომლიდგანაც სჩანს თითქმის მთელი რომი; ძეგლის სიმაღლე 22 მეტრია. ძეგლის სიახლოვეს დაიდგმება ბიუსტები გარიბალდიელ მეომართა სიცილიის ლაშქრობის დროისა.

—

**საფრანგეთი.** 6 მარტს საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიაში არჩევნები იყო ახალის აკადემიის წევრისა გარდაცვალებულის ფერდინანდ ლესეპსის მაგიერ. ამორჩეულ იქმნა ადოლფ კარნო, ძმა განსვენებულის საფრანგეთის პრეზიდენტისა. ადოლფ კარნო ცნობილი მინეროლოგი არის.

—

**ოსმალეთი.** გაზ. „Berliner Tageblatt“-ის სტამბოლელს კორესპონდენტს საყურადღებო ბაასი ჰქონია ოსმალეთის პოლიციის მინისტრ ნაზიმ-ფაშასთან სომხების აგიტაციის შესახებ. მართალია ინგლისელები საზარელს სიმხეცეს მოგვითხრობენ ოსმალთა შესახებ, მაგრამ ოსმალეთის მინისტრიც არ სდუმს და აი, რას ამბობს სომხების მიერ ჩადენილ შემაძრწუნებელ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ.

ნაზიმ-ფაშას სიტყვით, სიმართლეს ევროპა რამდენიმე თვის შემდეგ შეიტყობს და სწორედ განცვიფრდება, რომ ასეთის თანაგრძნობით ეპყრობოდა იმ ხალხს, რომელსაც ანარქიის გამარჯვება ჰქონდა სახეში. ჭეშმარიტად მართალია, რომ ლონდონსა, მარსელსა და ამერიკაში შემდგარი სომხების კომიტეტი „ხინჯაკი“ სრულიად არა სცდილობს სომხების აღდგენას და თავისის ანარქიულის სწავლა-მოძღვრებით ჰღუპავს მათ. ხოლო იმ სომხებს, რომლებიც თავისს მბრძანებელს სახელმწიფოს ემორჩილებიან, კომიტეტი სიკვდილით დასჯას უწესებსო. ამ ექვსის წლის განმავლობაში „ხინჯაკის“ გარდაწყვეტილებით ათასზედ მეტი სომეხი გამოესალმა წუთი-სოფელსა, და ამ მსხვერპლთა სახელები ოსმალეთის მთავრობამ კარგად იცისო.

შემდეგ მინისტრმა ხამფარწუმ ბოიადშანზედ ჩამოუგდო ლაპარაკი, რომელიც სასუნის აჯანყების დროს უმთავრესს როლს ასრულებდა თურმე. როგორც ნაზიმ-ფაშა ამბობს, ექვსის წლის წინად ხამფერწუმი სტამბოლის ერთ ცნობილ ავაზაკთა დასის მოთავე ყოფილა. ორის წლის შემდეგ კუმ-კაპში აჯანყება მოახდინა და მოჰკლა ახალგაზდა სომეხი ვექილი ჰაჯიკ-ეფენდი, რომელმაც ანარქიულს მოქმედებაზედ უარი განაცხადა თურმე. შემდეგ მოჰკლა ორი სომხის მღვდელი და აქედგან გაიქცა ჟენევაში, სადაც იმდროს ჰაჯიკი იმყოფებოდა და აქედგან ათინაში გადაიკიდა. ათინიდგან ოსმალურის ტანისამოსით მურადის სახელით ანატოლიაში გადავიდა თურმე, სადაც მას თვისი ძმა შირაერი შეეყარა. ამათ სცადეს რევოლიუცია მოეხდინათ სამშობლოში, მაგრამ გაუცეს და გაიქცნენ. შირაერი მალე შეიპყრეს და და სასჯელს მისცეს, მაგრამ ხამფერწუმმა გაქცევა მოახერხა. ჯერ მუშში აჯანყებდა ხალხს ოსმალეთის წინააღმდეგ, მერე ქურთებს და ბოლოს ისევ სომხეთში მობრუნდა და აქ დაიწყო თურმე თავისი მოქმედება. ამ უკანასკნელთ ხამფერწუმი არწმუნებდა რომ ინგლისი მოგვიშველებაო. მაგრამ ამ დროს დაიჭირეს კიდეც და ჯალათის ხელით იქნა მოკლულიო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

კილის დღესასწაულობის შესახებ გაზ. „Figaro“-ში ჟულ სიმონის წერილია დაბეჭდილი. წერილში «ნამდვილი პატრიოტიზმი» ეს გამოჩენილი საფრანგეთის მწერალი არ ეთანხმება იმ მხურვალე მამულის მოყვარეთ, რომელნიც ჩრდილო ახის გახსნის დღესასწაულობაში საფრანგეთის მხრივ მონაწილეობის მიღებას ეწინააღმდეგებიან. ჟულ სიმონის სიტყვით ეს მამულის მოყვარენი მეტად ჯიუტნ, არიან; 1870 წლებში ეს ვაჟბატონები „á Berlin“! („ბერლინში“), გაიძახოდნენ, მერე-კი, როდესაც საფრანგეთმა მშვიდობიანობის ჩამოგდება მოსთხოვა, ფრანკფურტის ხელ-შეკრულობას დაუწყეს წინააღმდეგობა.

იმ დროს საფრანგეთს ორში ერთი უნდა ამოერჩია. თუ მხურვალე პატრიოტებს დაუჯერებდა და იმათს პოლიტიკას აღიარებდა, საფრანგეთი ოთხს დღესაც ვეღარ იცოცხლებდა. საფრანგეთმა მაშინ უარი სთქვა ამაზედ და დიდ პოლიტიკოსთა რჩევა მიიღო, რის გამოც საფრანგეთის დროშა დღესაც იმდენად პატივცემულია, რამდენადაც ამ ასის წლის წინად იყო. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ის პატრიოტები სცდებიან, როდესაც ფიქრობენ, ვითომ ევროპა კილში მხოლოდ იმისთვის შეიკრიბება, რომ გერმანიის გამარჯვებით აღტაცებაში მოვიდეს და კერძოდ საფრანგეთი-კი იმისათვის, რომ თავისს პროვინციებზედ უარი განაცხადოს. არც ევროპას და არც საფრანგეთს ამგვარს არასა სთხოვენ და ვერც მოსთხოვენ. ისანი

---

ნება. თუ მომკლეს, ილოცე ჩემის სულისთვის და თუ ცოცხალი დავბრუნდები, ნამდვილი ბედნიერნი ვიქნებით... დარჩი მშვიდობით, მომიკითხე დედა შენი და იყავი მარად მხიარული...

ჟორჟმა ხელი ჩამოართვა მართას, მიიკრა გულზედ, გადაჰკოცნა და შემდეგ უთხრა:

— აბა, ჩემო საყვარელო მართა, იქნება, ამიერიდგან ვეღარ მნახო, იქნება უკანასკნელი წამია ჩვენის გამოთხოვებისა მშვიდობით!..

— ჟორჟ, ცოტად ჩაფიქრების შემდეგ დაიძახა მართამ:—არა ღირს, რომ მარტო შენ წახვიდე საომრად, მეც მაქვს ვალი სამშობლოს წინაშე და მსურს შენთან ერთად ავასრულო ჩემი მოვალეობა...

— ვალი? დიაღ, გაქვს. მაგრამ ჯერ კიდევ ადრე არის, მართა! მოვა დრო, როდესაც შენც უნდა შესწირო შენი თავი სამშობლოს.

— ამაზედ კარგი დრო, ვგონებ, არა მგონია სხვა დროს კიდევ შეგვხვდეს!.. თუ მოვკვდებით, ერთად დავიმარხებით და თუ ცოცხალი დავრჩებით, ერთადაც დავბრუნდებით და ჯვარს დავიწერთ...

— ეგ ყველა კარგი, მაგრამ დედა შენი? მერე ჩვენთვის ხომ აღკრძალულია ერთმანეთის ნახვა, ვინც გვნახავს რას იტყვის? გარდა ამისა დედა შენი მარტო არის, სხვა შვილი და მემკვიდრე არავინა ჰყავს და შენ რომ ჩემთან წამოხვიდე, იმის წყევლას სად წავუვალთ. არა, დამიჯერე, დარჩი შინ, ილოცე ჩემთვის და დარწმუნებული იყავ, რომ უშენოდაც დავამხობთ მტერს. ყოველივეს, დარიგების კილოთი უთხრა და ხელ-ახლად მიიკრა ქალი გულზედ.

— შენი ნება იყოს,—ცოტა ჩაფიქრების შემდეგ უპასუხა, მართამ და, თითქოს რამე მოაგონდაო, შუბლი შეიჭმუხნა. მერე ჰკითხა:

— როდის აპირებ საომრად წასვლას?

— ხვალ დილით ადრე,—მოკლედ უპასუხა ჟორჟმა.

— აჰა, ეს შენი მოცემული ბეჭერი შეინახე,—უთხრა მართამ, წაიძრო თითიდგან ბეჭედი და მისცა ჟორჯს. ოდეს გაჭირვებაში ჩავარდე, ამ ბეჭედს დაჰხედე, ჩემი სახელი სთქვი და მე უთუოდ შენთან გავჩნდები... წადი, ჩემო საყვარელო, და მამულისათვის თავ-განწირულო შვილო, წადი და დაიხსენ სამშობლო მტრისაგან...

ჟორჟმა გამოართვა ბეჭედი.

საყვარლები თვალ ცრემლიანნი მოეხვივნენ ერთმანეთს და ისე გამოეთხოვნენ. ჟორჟი ისევ საჩქაროდ ავიდა ღობეზედ, გადახტა და გაუდგა თავისს გზას.

III

ორმა კვირამ გაიარა იმ დღიდგან, რაც ჟორჟი გამოემშვიდობა მართას. ძალიან მწუხარე და დაღონებული იყო მართა თავისის საქმროსათვის. თუმცა დედამ ბევრჯელ შეჰნიშნა ეს მწუხარება და კიდეც გამოჰკითხა მიზეზი, მაგრამ მართა არ უმჟღავნებდა და ტკივილის მიზეზებს იგონებდა. ერთს საღამოს დედამ გამოუცხადა მართას:

— შვილო, მეზობლისას მივდივარ, ჩქარა მოვალ, არსად არ წახვიდე,— უთხრა ეს და წავიდა.

„ამაზედ კარგს დროს მე ვეღარ ვიპოვნი“, გაიფიქრა მართამ დედის წასვლის შემდეგ...

აიღო კალამი და დასწერა: „საყვარელო დედავ, სრული ორი კვირა არის, რომ ჩემი საყვარელი ჟორჟი წასულა საომრად და დღემდის არ ვიცი იმისი ამბავი... უიმისოდ ჩემთვის სიკვდილი უმჯობესია ვიდრე სიცოცხლე და ამისათვისაც ვარჩიე ჩემს საყვარელს სამშობლოს ერთგულ ჟორჟთან ომში სიკვდილი, ნუ დამწყევლი ურჩობისათვის და ნურც გამკიცხავ საქვეყნოდ... ილოცე ჩვენთვის... ჩვენის სულის დახსნისათვის''..

შენი მორჩილი და სამშობლოსათვის თავგანწირული შვილი მართა.''

წერილის შემდეგ ჩაიცვა ვაჟის ტანისამოსი, რომელიც ეყიდნა დედის ჩუმად, მამის მჭრელი ხმალი ჩამოიკიდა, გამოვიდა კარში, და ღამის სიბნელეში ისე გაქრა რომ ეშმაკიცკი ვერ გაიგებდა იმისს კვალსა...

IV

მთელი საფრანგეთი ამხედრებული იყო ოსმალოსთან საომრად. ოსმალნი თუმცა სიმრავლით მეტი იყვნენ ფრანგებზედ, მაგრამ პირველ შეტაკებაზედვე უკან დაიწიეს, მეორე შეტაკებაზედ სასტიკად დამარცხდნენ წინააღმდეგნი და ბევრი გამოჩენილი მხედართმთავარიც დაჰხოცეს ფრანგებმა. მესამე ბრძოლაში-კი ოსმალნი გათამამდნენ, ახსენეს მაჰმადის სახელი და შეუტიეს ფრანგის ჯარს. დასძლიეს, სრულიად დაამარცხეს.

მაგრამ გამარჯვებულნი უეცრად შედგნენ და ერთმანერთში ისე აირივნენ, რომ თავიანთს ჯარს თითონვე დაუწყეს ხოცვა. რა იყო მიზეზი? ანაზდად ფრანგთა მარჯვენა მხარეს მდგომს ჯარში ერთი ახალგაზდა ყმაწვილი გაჩნდა, რომელმაც ოსმალთა ჯარს მუსრი გაავლო. ბრძოლის დროს ეს ახალგაზდა ყმაწვილი შეჰხვდა ერთს ფაშას, რომელიც ხმლით ხელში წინ მოუძღოდა ჯარს, შეჰკივლა და ასე შესძახა:

— თქვე, ურჯულონო თქვენა, როდემდის უნდა სტანჯოთ ქრისტიანები, როდემდის უნდა სვათ ჩვენი სისხლი? სთქვა ესა და ხმალი ისე სწრაფლად და ხერხიანად მოუქნია, რომ თავი სრულიად გააგდებინა. ამისი მნახველი ოსმალთა ჯარი შეშინებული გაიქცა. მაგრამ ფრანგები დაედევნენ, უწყალოდ დაუწყეს ჟლეტა.

მარცხენა მხარეს, სადაც ჟორჟი თავისის მცირის ჯარით ომობდა, იქ ჯერ კიდევ თათრებს პირი არ ებრუნებინათ გასაქცევად და არც იცოდნენ მარჯვენა მხარის დამარცხება, ამისათვისაც ოსმალნი აქ გულადად ომობდნენ.

ჟორჟი ხმლის ხმარებით ისე დაღალულიყო, რომ მოძრაობის ღონე აღარა ჰქონდა, მაგრამ გაქცევას მაინც არ ფიქრობდა, და რაც შეეძლო ომობდა. მიიხედა მარცხენა მხარეს და ნახა ერთი ახალგაზდა ყმაწვილი მეომარი ჩაჰრეოდა ოსმალთა, რომელიც ლაშქარს უწყალოდ ხოცდა.

«ვინ უნდა იყოს? გაიფიქრა ჟორჟმა და ახალგაზდა მეომარის გულადობისაგან ღონე მოცემულმა მტერს

მხოლოდ არ შეურაცხჰყოფენ გერმანიის იმპერატორის ზრდილობიანს მიწვევას, მოქმედებას. კილში მხოლოდ პატივს-სცემენ მშვიდობიანობის დიდებას, მაშინ როდესაც ასე სამაგალითოდ არიან საომრად მომზადებულნი ევროპის უველა სახელმწიფონი და გერმანიის იმპერატორთან ერთად გაიმეორებენ მისსავე სიტყვებს, რომ ამ პირობებში ომიანობის ჩამოგდებას მხოლოდ ჭკუიდგან შეშლილი, თავზედ ხელაღებული ბროტმოქმედი განიზრახავსო.

აღიარა-რა ჟულ სიმონმა, რომ ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში პატრიოტები საფრანგეთს მუდამ საომრად აქეზებდნენ, რათა ყველას ის, რაც 1870 წლის შემდეგ დიდის მეცადინეობითა და სისხლის ფასად შეუძენია მას, ერთბაშად დაემხოთო, განაგრძობს:

ჩემის აზრით ვილჰელმი მშვიდობიანობის ერთს დედა-ბურჯს შეადგენსო. ვილჰელმმა კარგად იცის, რაც ჰსურს. საფრანგეთს სრულიადაც არ ეპურობა იგი შურის მიებით; მას კარგადა აქვს შესწავლილი ჩვენი მხარე და არა-ერთხელ მოჰპყრობია თავაზიანად მას. რასაკვირველია, არ დავივიწყებ არას დროს 1870 წელს, საფრანგეთის უველა იმედი მეც ისევე მამხნევებს, როგორც სხვებს, მაგრამ მშვიდობიანობა, პატივსაცემი მშვიდობიანობა უველაზედ დიდად მიმაჩნია და სრულიად თანავუგრძნობ იმპერატორის ვილჰელმის აზრს, რომ თითოეული ჟამი მშვიდობიანობისა ასარგებლებს და წინ წასწევს მშვიდობიანობისსავე საქმეს, მისს დამყარებას.

თუ-კი შესაძლებელია და რაიმენაირად ომიანობა ატუდება, იცოდეთ, თითოეული მეომარი მხარე უარს განაცხადებს ისტორიის წინაშე, რომ იგი არ იყო მიზეზი ამ ომიანობისა. იმპერატორს ალექსანდრე მე-III-ს აწერენ შემდეგს გონივრულს სიტყვებს: „ის ხელმწიფე, რომელიც პირველად განაცხადებს ომის სურვილს, პირ-

საშინელი ზარი დასცა. ამ დროს ოსმალთა ორმა ფაშამ უეცრად მოიმწყვდიეს შუაში ჟორჟი და უნდოდათ მოეკლათ: ჟორჟმა, რა თავისი თავი ორის ხმლის შუა დაინახა, მოაგონდა მართას მიცემული ბეჭედი და დაიძახა:

— მართა! ჩემო საყვარელო, სადა ხარ, მიშველე...

— აქა ვარ!—დაიკივლა ახალგაზდა ყმაწვილმა და მსწრაფლად მივარდა. ერთის წამის განმავლობაში მტერი დაამარცხეს და ჟორჟი იხსნა ამ ყმაწვილის მეომარის გამბედაობამ...

— მართა, ჩემო საყვარელო და ჩემო მხსნელო!—დაიძახა ჟორჟმა, მიჰვარდა და შემოეხვია კისერზედ.

— ჟორჟ! ჩემო თვალის სინათლევ, ჯერ ომი გვმართებს, ჯერ კიდევ მტერი გვყავს წინა და ბოლოს უნდა მოვუღრძოთ... სთქვა მართამ და ისევ მტრის ლაშქარს ჩაერია.

ფრანგის ლაშქარს ამ დღეს დიდი გამარჯვება დარჩა. მაგრამ ის-კი ალარავინ იცის, რა მოუვიდათ იმათ, ვინც ამ გამარჯვების უმთავრესი მიზეზნი იყვნენ: ახალგაზდა შეყვარებულთ მართასა და ჟორჟს!

გ. ფ.

—

ველს მტერს ჩემში ჰპოვებსო“. სასურველია, რომ აღიძრას ომი თვით ომიანობისა და იმათ წინააღმდეგ, ვინც მას მოისურვებსო.

—

ინგლისურ გაზეთებს თუ დაუჯერეთ, იაპონიას ჰსურს სრულიად შთანთქოს ჩინეთი. მაგალითად გაზეთი „Standart“ ამბობს:

„იაპონიას არც ჩინეთის ტერიტორია უნდაო, არც მისი ფული; მას ჰსურს ხელში ჩაიგდოს ჩინეთის უველა ფასიანი ქაღალდები და აგრეთვე გახდეს ჩინეთის კრედიტორად ევროპის მაგიეროა“.

ამ რიგად იაპონია ხელში ჩაიგდებს ფინანსის საქმეს ჩინეთში და შეიქნება ნამდვილ პატრონად ჩინეთისა. ის იკისრებს გარდუხადოს ევროპას ჩინეთის ვალი და შემდეგ თვისის ზარალის ასადგენად ჩინეთის საფინანსო უწყებას თვითვე დაიჭერს ხელშიო. რა-კი ფინანსთა საქმეს იგდებს ხელში, იაპონია ფაქტიკურად ჩინეთის სახელმწიფოს გამგეთაც შეიქნება. იაპონია, უეჭველია, ევროპიულ წესწყობილებას შეიტანს ჩინეთში და ადვილად მისახვედრია, თუ რა დიდს ძალას შექმნის იგი აზიაში. გასაკვირველი არ არის, რომ „მოსკ. ვედომ.“ დიდს შფოთს და მწუხარებას მისცემია ამის გამო.

„უნდა ვიმედოვნებდეთო, ამბობს მოსკოველი გაზეთი, რომ ევროპის სახელმწიფონი მიჰხვდებიან, რა უბედურება მოელის ევროპას, თუ მონგოლნი აღორძინდნენ და დაუშლიან იაპონიას, რომ თავისა განზრახვა სისრულეში მოიყვანოს. თუ ევროპამ არ ამოიღო ხმა, რუსეთი უთუოდ უნდა წინააღუდგეს იაპონელთა მეტისმეტს გაძლიერებას.“

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 მარტი.

**ბერლინი.** დღეს იმპერატორი მემკვიდრითურთ მივიდა ფრიდრიხსრუეში; გაუძღვა წინ ჯარს და შევიდა ბისმარკის ბაღში; წინ მიეგება თავადი ბისმარკი. იპერატორმა გერმანიის ჯარების მაგიერ მიულოცა ბისმარკს დღესასწაული და უბოძა ოქროს დაშნა და უთხრა! „ამაზედ უკეთესი საჩუქარი არ მოიპოვება თქვენთვის, რადგან ეს იარაღი გმომხატველია გერმანიის ძლიერებისა და არც თუ ოდესმე მოვუტყუებივართო. დაშნაზედ ელზას-ლოტარინგიის ღერბია გამოხატული. შემდეგ, საუზმის დროს, იმპერატორმა გადასცა ბისმარკს ვილჰელმ პირველის ბეჭედი.

**პეტერბურგი,** 16 მარტი. „სარატოვის დღიური“ მთავრობის განკარგულებით შეჩერებულ იქნა ოთხის თვით.

**ბერლინი,** 15 მარტი. ფრიდრიხრუედგან იუწყებიან, რომ მემკვიდრე პრინცმა ჩააბარა ბისმარკს მშვენიერი ბუკეტი ყვავილებისა და უთხრა: „დედის ჩემისაგან“. მისალოცავად მივიდნენ ბისმარკთან ფრიდრიხსრუეს: ჰენრიხი პრუსიისა მცირეწლოვანის შვილით, დიდი ჰერცოგი ბადენისა, გერმანიის კანცლერი და სხვანი წარჩინებულნი.

**ლონდონი,** 15 მარტი. ტოკიოდგან იუწყებიან, რომ ლი-ხუნგ-ჩანგის დაჭრის გამო მოლაპარაკება შეწყვეტილია. ლი-ხუნგ-ჩანგს არ სურს, რომ იაპონელ ექიმებმა უწამლონ და ამიტომ გერმანელი ექიმი გაუგზავნეს ტოკიოდგან. ლი-ხუნგ-ჩანგის მორჩენა საეჭვოდ აქვთ. ტყვია ცუდს ალაგს არის ჩამჯდარი.

იოკაჰამიდგან დეპეშით იუწყებიან: იაპონელთა ლაშქარში ხოლერა გაჩნდაო. დღეში 78 კაცი ხდება ავად.

პეტერბურგის ბირჟა, 17 თებერვალი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,48 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 214 „ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . | 101⅝ | — ,, | — ,, |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% იმავე ბანკისა. | 99½ | — ,, | — ,, |
| 6% ტფილისის სათათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — ,, | — ,, | 101¾ |
| 5% იმავე ბანკისა | 99½ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99¼ | -- ,, | — ,, |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათსნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი მ. ტურბოვიჩი.** ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ф. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაშეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიციანსა ნავასარდიანი.

(857—1468)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ისყიდება

**თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის** სურათებიანი ფოსტის ქაღალდები.

ფასი თითო ქქვსეულისა 15 კაპ.


# „ივერია“

1895 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

## ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.


**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

# დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაჟუმნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთება მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემების ნავთ-სადგურებზედ.

50—6—15